ოქმი:**ო12. 3723150001**

თარიღი:**30/05/2023**

ოქმი № 10

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2023 წელი, 29 მაისი

ქ.ოზურგეთი

14.00-15.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ქ. ხომერიკი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. ჭანიშვილი, ბ. მელუა, მ. ჩხიკვიშვილი, დ. მდინარაძე, ნ. ღაჟონია, ნ. სარჯველაძე, ვლ. ხავთასი, ქ. ვასაძე, გ. სირაძე, მ. ვაშალომიძე, ს. ქარცივაძე, ხ. ცერცვაძე.
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე-ლ.ბიგვავა

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალური მიზნის მქონე პროექტების თანადაფინანსების პროგრამის განხორციელების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 7 სექტემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ქ. ხომერიკი

თანამომხსენებელი: ლ. თავაძე

2. მზრუნველობამოკლებულთა ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამის შესრულების მდგომარეობის შესახებ.

მომხსენებელი: ქ. ხომერიკი

თანამომხსენებელი: მ. ცელაძე

3. ქ. ოზურგეთში, ჭადრების პარკში(ს/კ 26.26.47), ბენია ჩხიკვიშვილის ბიუსტის განთავსების შესახებ.

მომხსენებელი: ქ. ხომერიკი

სხდომის თავმჯდომარემ, ქ. ხომერიკმა კომისიის წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საკრებულოში წარმოდგენილი დადგენილების

პროექტი „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალური მიზნის მქონე პროექტების თანადაფინანსების პროგრამის განხორციელების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 7 სექტემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. პროექტის კონკრეტულ ცვლილებებზე ისაუბრა თანამომხსენებელმა ლ. თავაძემ. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს დადგენილების პროექტის ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე კომისიის წევრებს ინფორმაცია მიაწოდა სხდომის თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა, აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტში აღრიცხულია 180 მზრუნველობამოკლებული ბენეფიციარი, 15 მათგანს მომსახურება მიეწოდება სახლში მიტანით, წინა წლებთან შედარებით გაუმჯობესებულია როგორც კვების ხარისხი, ასევე სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობაც, მიმდინარე წელში უკვე გახარჯულია 75 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის მერიასთან შექმნილი მონიტორინგის ჯგუფი რეგულარულად ამოწმებს მდგომარეობას. ინფორმაცია კონკრეტული მონაცემებით შეავსო თანამომხსენებელმა მ. ცელაძემ. საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ დასვა შეკითხვა-180 -ივე ბენეფიციარის ერთდროულად გამოცხადების შემთხვევაში შესაძლებელია მომსახურების გაწევა? განმარტეს, რომ ამის საშუალება არ არის, ამიტომ ბენეფიციარები ცხადდებიან გრაფიკის თანახმად. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს პროგრამის შესრულების თაობაზე ინფორმაციის საკრებულოს სხდომაზე მოსმენა.

სხდომის თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა, კომისიის წევრებს მოახსნა, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია კომპანია „სან პეტროლეუმ ჯორჯიას“ წერილი, რომელშიც ისინი ითხოვენ ნებართვას, საკუთარი ხარჯებით, განათავსონ ქ. ოზურგეთში, ჭადრების ბაღში, ცნობილი გურული პოლიტიკოსის ბენია ჩხიკვიშვილის ბიუსტი. აღნიშნულთან დაკავშირებით დოკუმენტაცია გადაიგზავნა შესაბამის სამთავრობო უწყებაში, საიდანაც მოვიდა თანხმობა, კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ინიციატივას, ამასთან მოითხოვეს ბიუსტის განთავსებამდე ავტორებს დაეზუსტებინათ პოლიტიკოსის სახელი.

გადაწყვიტეს:

1. დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და დადგენილების პროექტი წარდგენილ იქნას საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით.
2. მზრუნველობამოკლებულთა ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამის შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია მოსმენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე.
3. მხარი დაეჭიროს ინიციატივას ცენტრალურ პარკში ბენია ჩხიკვიშვილის ბიუსტის განთავსების თაობაზე, ამასთან პროექტის ავტორებმა უზრუნველყონ პოლიტიკოსის სახელის დაზუსტება.

ქეთევან ხომერიკი

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი